რეპროდუქციული ჯანმრთელობა და მდგრადი განვითარების მიზნები

წინამდებარე მასალა მომზადდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით და მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის ფინანსური დახმარებით. © UNFPA 2020

ტერმინების განმარტება: გენდერი, სექსი, სექსუალობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა

მდგარდი განვითარების მიზნები:

რეპროდუქციული ჯანმრთელობა გულისხმობს სრულ ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ კეთილდღეობას. ამასთან არ გამორიცხავს რეპროდუქციულ ორგანოებთან დაკავშირებულ დაავადების არსებობას ან ფუნქციის მოშლას. ეს ნიშნავს მდგომარეობას, როცა ადამიანს შეუძლია, ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი და უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრება, უსაფრთხო დედობა, გამრავლების უნარი და შესაძლებლობა მიიღოს თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილება, თუ რამდენი შვილი იყოლიოს და როდის. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი თავის სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით[1].
უსაფრთხო დედობა თავის მხრივ მოიცავს უსაფრთხო ორსულობას, მშობიარობას, ჯანმრთელი ბავშვების ყოლასა და ჯანსაღი ცხოვრების წესს [1].

რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობა და უფლებები განისაზღვრა 1994 წელს ქაიროში გამართული საერთაშორისო კონფერენციის - ,,მოსახლეობა და განვითარება“ (ICPD) - საბოლოო დოკუმენტით (,,ქაიროს კონფერენციის სამოქმედო პროგრამა“), რომელიც განმეორებით დამტკიცდა 1995 წელს პეკინში, ,, ქალების შესახებ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე “ (პეკინის კონფერენციის სამოქმედო პლატფორმა). ეს დოკუმენტები 180-ზე მეტმა ქვეყანამ აღიარა.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე მისაწვდომობა შშმ პირებს შეზღუდული შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი მიზეზების გამო:

ფიზიკური ბარიერის გამო - შშმ პირებს შეზღუდული აქვთ გადაადგილების შესაძლებლობა, კლინიკური სერვისები არ არის მათთვის მისაწვდომი, სტიგმა და დისკრიმინაცია ასევე მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს მათთვის. ამრიგად, სხვადასხვა სიტუაციური ბარიერების გათვალისწინებით, შშმ პირებისათვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე მისაწვდომობის ნაკლებობა შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- ფიზიკური ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, რაც გამოიხატება კლინიკამდე

[1] WHO https://www.who.int/westernpacific/health-topics/reproductive-health

მისასვლელი არაადაპტირებული ფიზიკური გარემოსა და არადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ასევე კლინიკაში ადაპტირებული ინფრასტრუქტურის არ არსებობით

- მისაწვდომი და შესაბამისად ადაპტირებული ინფორმაციის არ არსებობით (ბრაილის შრიფტით ან დიდი ასოებით დაბეჭდილი მასალების არ არსებობა, მარტივი ენით დაწერილი საგანმანათლებლო მასალების არ არსებობა, სურდო თარგმანის მიუწვდომლობა და ა.შ)
- სამედიცინო პერსონალის უარყოფითი დამოკიდებულება შშმ პაციენტების მიმართ
- სამედიცინო პერსონალის ცოდნის ნაკლებობა შშმ პირთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების შესახებ
- სხვადასხვა დარგის სამედიცინო პერსონალს შორის კოორდინაციის ნაკლებობა

ათასწლეულის და მდგრადი განვითარების მიზნები

- 2015 წელს დასრულდა ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის 15-წლიანი ციკლი და მსოფლიო დადგა განვითარების ახალი გამოწვევების განსაზღვრისა და ახალი მიზნების შემუშავების ამოცანის წინაშე.
- მსოფლიოს ქვეყნების ერთობლივმა ძალისხმევამ და თანამშრომლობამ ათასწლეულის განვითარების მიზნევის მიღწევის საქმეში ნათლად აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ერთიანი გლობალური დღის წესრიგის არსებობა ისეთ გამოწვევებთან გამკლავებისას, როგორიცაა სიღარიბის აღმოფხვრა. მსოფლიომ შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია 15 წლის მანძილზე, მაგრამ განვითარების ძირითადი გამოწვევების გლობალური დაძლევა კვლავაც აქტუალურია.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა ახალი გლობალურ დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტებს 2015 წლის შემდეგ. მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანაა, გააგრძელოს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიერ დაწყებული საქმე.
- გაეროს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს მდგრადი განვითარების მიზნები 2015 წლის 25-27 სექტებერს ნიუ იორკში (აშშ) გამართულ მდგრადი განვითარების სამიტზე.
- 2015 წლის 25 სექტემბრის გაერთიანებული ერების A/RES/70/1 რეზოლუციით დამტკიცდა ,,გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები'', რომელიც შეიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებს და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და

განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების დამარცხება, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

○ ორსულობისა და მშობიარობის მართვა, ასევე დედათა და ჩვილთა ჯანმრთელობა, ძუძუთი კვების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა;
○ ოჯახის დაგეგმვის საკითხები, აბორტისა და მისი მავნე შედეგების პრევენცია, ოჯახის დაგეგმვისა და კონტრაცეფციული საშუალებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
○ აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენცია;
○ ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
○ მოზარდთა განათლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში;

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის, მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- 2030 წლისათვის დედათა სიკვდილიანობის გლობალური მაჩვენებლის შემცირება 70 შემთხვევაზე ნაკლებ მაჩვენებლამდე 100,000 ცოცხალშობილ ბავშვზე
- 2030 წლისათვის ახალშობილთა და 5 წლამდე ბავშვთა პრევენცირებადი სიკვდილიანობის აღმოფხვრა; ყველა ქვეყანამ მიზნად უნდა დაისახოს ნეონატალური სიკვდილიანობის შემცირება სულ მცირე 12-მდე 1,000 ცოცხალშობილ ბავშვზე და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება სულ მცირე 25-მდე 1,000 ცოცხალშობილ ბავშვზე
- 2030 წლისათვის შიდსის ეპიდემიის, ტუბერკულოზის, მალარიისა და აღმოცენებადი ტროპიკული დაავადებების აღმოფხვრა და ჰეპატიტთან, წყლით გადამდებ და სხვა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა
- 2030 წლისთვის არაინფექციური დაავადებების შედეგად ნაადრევი სიკვდილიანობის ერთი მესამედით შემცირება პრევენციისა და მკურნალობის მეშვეობით და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა
- აკრძალული ნივთიერებების მოხმარების, მათ შორის ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის დამღუპველი მოხმარების პრევენციისა და მკურნალობის გაძლიერება

- 2020 წლისთვის მსოფლიო მასშტაბით ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაზიანებების რაოდენობის განახევრება
- 2030 წლისთვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის, ინფორმაციისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინტეგრირება ეროვნულ სტრატეგიებსა და პროგრამებში
- ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის მიღწევა, მათ შორის ფინანსური რისკებისგან დაცვა, ჯანდაცვის ხარისხიანი ძირითადი სერვისების მისაწვდომობა, ასევე უსაფრთხო, ეფექტიანი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ძირითადი მედიკამენტებისა და ვაქცინების მისაწვდომობა
- 2030 წლისთვის სახიფათო ქიმიური ნივთიერებებისა და ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შედეგად სიკვდილისა და ავადმყოფობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის განხორციელების გაძლიერება ყველა ქვეყანაში, საჭიროების შესაბამისად
- იმ ინფექციური და არაინფექციური დაავადებებისთვის ვაქცინების და მედიკამენტების კვლევისა და განვითარების მხარდაჭერა, რომლებიც ძირითადად განვითარებად ქვეყნებს უქმნის საფრთხეს, აუცილებელი მედიკამენტების და ვაქცინების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, TRIPS შეთანხმების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ დოჰას დეკლარაციის შესაბამისად; აღნიშნული დეკლარაცია ადასტურებს განვითარებადი ქვეყნების უფლებას, სრულად გამოიყენონ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ვაჭრობასთან დაკავშირებული შეთანხმების დებულებები, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მოქნილ სისტემას, განსაკუთრებით კი ყველა ადამიანისთვის მედიკამენტების მისაწვდომობის უზრუნველყოფას
- განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსა და მცირე კუნძულოვან განვითარებად ქვეყნებში ჯანდაცვის დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდა და ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის დაქირავების, განვითარების, ტრენინგისა და შენარჩუნების გაუმჯობესება
- ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ეროვნული და გლობალური რისკების ადრეული გაფრთხილების, რისკების შემცირების და მათი მართვის შესაძლებლობების გაძლიერება

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება

- ყველა ადგილას ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა
- ყველა ქალისა და გოგონას მიერ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა
- ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორიც არის ბავშვთა ქორწინება, ადრეულ ასაკში და იძულებით ქორწინება, ასევე ქალთა წინადაცვეთა
- აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობის აღიარება და დაფასება საჯარო სერვისების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის და საოჯახო მეურნეობასა და ოჯახში საზიარო პასუხისმგებლობის დამკვიდრების მეშვეობით
- პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა
- სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის შეთანხმებული სამოქმედო პროგრამით და პეკინის სამოქმედო პლატფორმით, ასევე მათი გადასინჯვის მიზნით გამართული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტების შესაბამისად.
- რეფორმების გატარება იმ მიზნით, რომ ქალებს მიენიჭოთ მამაკაცების თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებზე, ასევე წვდომა მიწისა და სხვა ფორმის ქონების, ფინანსური სერვისების, მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების ფლობაზე და კონტროლზე, ეროვნული კანონების შესაბამისად
- მოწინავე ტექნოლოგიების, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის ჯანსაღი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავება და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაძლიერება

იმისათვის, რომ მიღწეული იქნას რეპროდუქციულ სერვისებზე უნივერსალური წვდომა ქვეყნებში უნდა დაინერგოს ასაკობრივ ჯგუფებთან ასოცირებული შემდეგი მიდგომები[2]:

10-19 ასაკობრივი ჯგუფისათვის:

---

[2] UNFPA. Sexual and Reproductive Health and Rights: an essential element of Universal Health Coverage

- სქესობრივი ცხოვრების სწავლება (სკოლაში და მის გარეთ);
- რეპროდუქციული ორგანოების კიბოს, განსაკუთრებით საშვილოსნოს ყელის კიბოს პროფილაქტიკა, გამოვლენა და მართვა;
- საკონსულტაციო მომსახურება და მომსახურება თანამედროვე კონტრაცეპტივების სპექტრისთვის, განსაზღვრული მინიმალური რაოდენობით და მეთოდებით;
- უსაფრთხო აბორტის მომსახურება და აბორტის გართულებების მკურნალობა;
- სექსუალური და გენდერული ძალადობის შემთხვევების პრევენცია, გამოვლენა, დაუყოვნებლივი მომსახურება და გადაცემა შესაბამის სამსახურებთან, სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, კონსულტაცია, მომსახურების გაწევა და კეთილდღეობა;
- აივ და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პროფილაქტიკა და მკურნალობა;

15–49 ასაკობრივი ჯგუფისათვის:

- რეპროდუქციულ ასაკში კიბოს შემთხვევების, განსაკუთრებით საშვილოსნოს ყელის კიბოს, პროფილაქტიკა, გამოვლენა და მართვა;
- თანამედროვე კონტრაცეპტივებზე ხელმისაწვდომობა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება;
- უსაფრთხო აბორტის მომსახურება და აბორტის გართულებების მკურნალობა;
- უნაყოფობასთან დაკავშირებული კონსულტაცია და მომსახურება;
- სქესობრივი და გენდერული ძალადობის შემთხვევების პროფილაქტიკა, გამოვლენა, ინფორმაციის გადაცემა შესაბამის ორგანოებთან დაუყოვნებლივი მომსახურება;
- სექსუალური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- კონსულტაციების და მომსახურების შესახებ, აივ და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პროფილაქტიკა და მკურნალობა;

50 წელი და მეტი ასაკობრივი ჯგუფისათვის:

- სქესობრივი და გენდერული ძალადობის შემთხვევების პრევენცია, გამოვლენა, დაუყოვნებლივი მომსახურება, კონსულტაცია,
- სექსუალური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
- აივ და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პროფილაქტიკა და მკურნალობა.

- რეპროდუქციული ორგანოების კიბოს, განსაკუთრებით საშვილოსნოს ყელის კიბოს, პროფილაქტიკა, გამოვლენა და მართვა,
- მენოპაუზის და მენოპაუზის შემდგომი კონსულტაცია და ავადობა.